

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ფისკალური პოლიტიკა და ბიზნეს ინტერესების გავლენა არჩევნებზე

(Case Study: უნრეთი, პოლონეთი, ესტონეთი)

ანა გიორბელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა გიორბელიძე

22.06.2018.

აბსტრაქტი

უახლესი კვლევები აჩვენებენ, რომ ბიზნეს ინტერესები და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. არჩევნები ყველა დროის აქტუალური თემაა, რადგან ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ თითოეული ქვეყნის, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი დემოკრატიული ჩატარება დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთავარი მახასიათებელია. არჩევნები უნგრეთში, პოლონეთსა და ესტონეთში ხშირად წარმოადგენს განხილვის საგანს, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ პოსტ საბჭოთა სივრცეშიც, რადგან მათი დასრულების შემდეგ ყოველთვის ჩნდება კითხვები თუ რამდენად დემოკრატიულად და ისტორიული (საბჭოთა) გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად მოხდა მათი ჩატარება.

ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს „ევროპული პოსტ საბჭოთა სივრცის“ ბიზნეს ინტერესებისა და წინა საარჩევნო პოლიტიკური პროცესების კვლევა. ამავე დროულად, კვლევაში ყურადღება მახვილდება დეტალებზე, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ არა მხოლოდ წინა საარჩევნოდ, არამედ არჩევნების შემდგომ ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროების ურთიერთობების ჭრილში.

კვლევის მთავარი მიგნებად ბიზნეს ინტერესების პოლიტიკაში არამცთუ შემცირება, არამედ, პირიქით, ზრდა უნდა ჩაითვალოს. როგორც შედეგებმა ცხადყო, რეალური პრობლემა არის არა თანხები, არამედ შემომწირველების მცირე რაოდენობა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ წინა საარჩევნო კამპანიის ფინანსური დონორები იმედოვნებენ არჩევნების შემდგომ პერიოდში საკუთარ ბიზნეს-ინტერესების დიდი ალბათობით დაკმაყოფილებას.

საძიებო სიტყვები: ბიზნეს ინტერესები, ფისკალური პოლიტიკა, არჩევნები, უნგრეთი, პოლონეთი, ესტონეთი.

Abstract

The latest research shows that business interests and politics are interconnected concepts and elections are most actual topic of all time, as they are playing a decisive role in in the social, political and economical lifes of every country. Democratic conduct of election process is the main feature of an independent state. Elections in Hungary, Poland and Estonia are often the subject of discussion, not only in Europe but in the post-Soviet space too. Main reason for this, is the question that arises after completing elections is “have they been conducted independently in democratic way with out historical (soviet) past”?

The main purpose of this paper is to research the influence of business interests on previous elections in the European Post Soviet space. At the same time, attention will be paid to the details that played a decisive role not only in the previous elections in this countries, but in the matter of relations between business and political fields after the elections.

The key point of the research is not the reduction of business interactions in politics, but on the contrary, the growth. The results of the research have shown that the real problem, is not the donor, but in the little amount of them. As contributor of political party is awaiting for his/her interest to be grown in public policy.

Keywords: Business interests, fiscal politics, elections, Hungary, Poland, Estonia.